ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №192

2017 წლის 18 სექტემბერი

ქ. ქუთაისი

„ქალაქ ქუთაისში საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისათვის საარჩევნო ბეჭდვითი სააგიტაციო მასალების (პლაკატების) გასაკრავი ადგილების გამოყოფისა და წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩასატარებელი შენობა-ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 აგვისტოს №190 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისში საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისათვის საარჩევნო ბეჭდვითი სააგიტაციო მასალების (პლაკატების) გასაკრავი ადგილების გამოყოფისა და წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩასატარებელი შენობა-ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 აგვისტოს №190 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 24.08.2017, 010250020.35.123.016400), კერძოდ, დადგენილების მე-6 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 6.** ცნობად იქნეს მიღებული, რომ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში პოლიტიკურ პარტიებს/საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრების, კრებების, საჯარო დებატების, დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზება შეუძლიათ განახორციელონ ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა №2, ნაკვეთი №1-ში მდებარე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის“ ტერიტორიაზე, ახალგაზრდობის გამზირი, №98-ის ჩრდილოეთით და ახალგაზრდობის გამზირი, №96-ის სამხრეთით არსებულ შენობაში (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ქუთაისის მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სპორტის სასახლე“) და ქალაქ ქუთაისში, გ. ტაბიძის ქუჩის №58-ში (ყოფილი ქალაქი ქუთაისი, გ. ტაბიძის ქუჩა №60, ყოფილი №58, №24) მდებარე შენობაში (№2 მუსიკალური სკოლის შენობა, ფართობი: 718,61 კვ.მ). ამასთან, მითითებული ღონისძიებების, შეხვედრების გრაფიკი შეთანხმებული უნდა იქნეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის“, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სპორტის სასახლისა“ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ ადმინისტრაციასთან.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 19 სექტემბრიდან.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **ბექა ყანჩელი**